

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

# თეატრი სხოვრება

სათუჯვლო სალიტერატურულო ჟურნალო

კვირა, 5 ივლისი | მიიღება ხელმოწერა 1915 წ., თეატრი და სხოვრება - ზმ | № 27 — 1915



### აჭარელი ქართველი მამულიანები

შუა აქარაში, ბორხასა და მარაღდს შუა მდე-  
ბარე სოფ. ინკორეფის მცხოვრებნი: ამ ადგი-  
ლებს ედემის მსგავსი ბუნება აქვს, მცხოვრებნი  
რაინდი და ყოჩალი ხალხია.



# ხართუხის საზოგადო კლუბი

მისეილის  
პრ. № 131

საუბრეო საზაფხულო როტინდია, სტენია და შვენიერი, ელექტრონით განსაზღვრული, ბავთ.

- შაბათს, 4 ივლისს **ორკესტრი**
- კვირას, 5 ივლისს: **მანდოლინისტების გუნდი**
- ორშაბათს: **სინემატოგრაფი; საზანდარი**
- 6 ივლ. **ორკესტრი**
- სამშაბათს 7 ივლ. **სინემატოგრაფი და ორკესტრი**
- ოთხშაბათს 8 ივლ. **საღამო, სამეზიანი ორკ. და მანდალ. გუნდი**
- ხუთშაბათს 9 ივლ. **წარმოდგენა**
- პარასკევს 10 ივლ. **ორკესტრი**
- შაბათს, 11 ივლ. **მანდოლინისტების გუნდი**
- კვირას 12 ივლ.

დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.

შესავალი ფასი: მამაკანი ახლიან — 30 კ., ქალები და სტუდენტები — 15 კ.

იუიღება

## თეატრი და ცხოვრება

1914 წ.

მთელი წლისა (მე-5-ე ნომრიდან) 4 მ.  
ფასდადებითაც გვიგზავნება. მისაღართი:  
Тифლისь, ред. „Театри და Цховრე-  
ბა“ ჟოს. იმედაშვილი. (10—1)

კამოდის ორშაბათობით

## „სხალი კვალ“

გაზეთი ღირს: ერთი წლით 2 მ. და 50 კ.,  
ნახევარი წლით—1. 50 კ., ერთი თვით—20 კ.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქციის ადრესი: Кутаись, Типография  
Шерадзе и Карнаухова для „Ахали Кვალი“  
ფულის გამოსავანები: Кутаись, Тип.  
Шерадзе и Карнаухова Севериану Нико-  
лаевичу Бахтадзе.

1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის  
ახალი გაზეთი

## ს ა მ შ მ გ ლ მ

ფასი: ერთი წლით წლით 8 მან. ნახევარ-  
წლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი  
5 კ. დამატებითი—7 კ. ესევე გაზეთი დაუ-  
რიგდებთ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.  
წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის  
მისამართით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობ-  
ლო“ თბილისის ქუჩა, სახლი 3. ი. გოკიყელისა.  
გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი  
დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდე-  
ბულია თანამგრძობთა რიცხვის გამოცემაზე.  
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნა-  
თესავემგობრებს მოგვიწოდონ მათი სურათები.  
ვსთხოვთ აგრედვე აღგილობრივ დაწესებულე-  
ბათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ  
სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო  
მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღე-  
ებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე





№ 27

წელიწადი  
8 0 3 0 8 0

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კახლის მოწერა მიიღება „სტოპანის“ სტამბაში. მისამართი: **Тифлисе Ред.-Театри да Цховреба“ I. Имедашвили**

ხელ-მოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერიანი საკითხებისამებრ შესწორდება. — ზედპეტროთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სტოპანის“ სტამბის კანტორაში — დილით 9 — 2 ს., საღამოთი 5 — 7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 27

კ ვ ი რ ა ბ , 5 0 3 ლ ი ს 0

1915 წ.

5 0 3 ლ ი ს 0

ბუნებასაც ჩვენზე მოიცალა...

სხვისა მაცხოვრებელი — მოკვდა უცხოებელიო! — სწორედ ჩვენზე ითქმის...

ჩვენი რჩეული ვეჯკობა, სოფლის მუშა თუ ნასწავლი ხალხი სხვისი ბედნიერებისთვის იღვწის, სხვის ბედვენახებსა და სამრეწველოებს აყვავებს, ხოლო თვით იგივე წელში გაწყვეტალია, ყოველმხრივ დაწიხლული...

განა გლვქაცს ადამიანური ცხოვრების უფლდა აქვს? განა იგიც „კაცთა შორის კაცდაა მიჩნეული?“

არ არის და ვერ ბუნებასაც სასტიკად დასაჯა...

თმა გებურძგნება, ტანში ქრუანტელი გვილის, როდესაც გაზეთებში კითხულობ, შეუჩერებლმა წვიმა ნიღვრებმა რაოდენი ზარალი მისცა ქართლ-კახეთს და ბოლოს დასავლეთ საქართველოში წყალდარბამ რასაზარლად გაანადგურა მთელი მხარე ჩვენი მრავალტანჯულ სამშობლოი... .

ბუნების მეფედ მიჩნეული ადამიანი თავის სარჩო-საბადებლით ბუნებას სათამაშო ბურთად აქცია...

სე მოუვა ყველას, ვინც შეგნებითი თვითმოქმედების უნარს მოკლებულია, ვისაც თავისი მიწა-წყლის მცენიერების თანამედროვე მოთხოვნილებებისამებრ შემეშავების ნაცვლად კანცელარიებში მუშაობა მიუჩნევია სამჯობინაროდ...

დაიარეთ ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხეცა გნებათ, — საეღალაო სურათს წარმოად-

გენს: არსად როგანი გზა-ხილები, არსად გარკვეული რუარხები, არსად ხელოვნური საგუბარ-აუზები, კიდე-ყურები, არსად ადამიანის მიზანშეწონილი ნამუშავარი ბუნების ძალთა თავის სურვილისამებრ მოსახმარად, — ერთხელ როგორც დაუღვია გზა ღვართქმის — ის არის და ის: ზაფხულში დაშრება — ვის რას აუნებს, გაზაფხულზე იმატებს და მაშინ — ადამიანი უღონოა...

ხალხი უბატრონდაა, სოფელი ღვთისანაბრობაზე მიტოვებული...

მოწინავე, თვითმოქმედ და სიცოცხლის მონატრე ერნი ჰაერში დაფრინავენ, ზღვისა და ზღვის გულში წარმოიბუნენ, ლამის ციურ ნნათობათც დაეფლუნენ, ხოლო ჩვენს ბეჩავ გლვქაცსა და საერაოდ ჩვენის ქვეყნის ყალბად აღზღილ „ნასწავლთაც“ — კი ისიც ვერ მოუხერხებიათ, სახლი როგორ აიშენონ, სანიადვრე არხებს რა მხრით მოუარონ, წყალს რა მიმართულება მისცენ, მამულის მთაგორიან მდებარეობასა და ბუნების ცვალებადობას როგორ შეეგუონ, რომ შემდამ „უბედური შეთხვევს“ მსხვერპლი არ გახდნენ...

ცხოვრებაში გამოსადეგი სწავლა-ცოდნით დაწინაურებულ ქვეყნებში დიდი წყლები (უცებ მოვარდნილი ნიავღვრებიც კი) თუ ერის გამძლიერების წყაროდ შექმნილა, ჩვენს ქვეყანას იგი დამღუბველ-დამთქმელად ფვლინება...

მერე ვფიქრობთ რამეს ხალხის საკეთილდღეოდ?

როგორ არა: სწორედ მაშინ მოიგონებოდა მკისერს, როდესაც საერო-სამხედრო უბედურება გვეწვევა და ხელს გავწმადებთ...





როდ, არიქა შემოგვაწიეთო,—რას იხავთ, ჩენ ხომ საერო ფონდი არა გვაქვს, შავი დღისთვის შენახული თანხა, რომ ასეთ და კიდევ სხვა, მოსალოდნელ საქიროებისათვის მოვიზიაროთ?.. უფრო ხშირად-კი ჩენი საზოგადოების მოწინავე პირნი მართებლობას შეკლადებენ: გვიშველეთ, გვიწყალობეთ რამეთო!..

თუნდა მართებლობა დაგეხმაროს კიდევ, იმდენი რა უნდა მოგვეცეს, რომ გლეხის ოჯახს ემკურნალოს? უგრო შ.კაპეიკო საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელიც მხოლოდ ახლა აგროეებს შემოწირულობას, იმდენი რა უნდა შეაწიოს კერა-დანთქმულ ხალხს, რომ წყალული დაუამოს? განა მილიონობით ზარალს ასითა და ათასი თუმნით ანაზღაურებთ?!

ხელო და ზეგ რომ იგივე განმეორდეს?

და განმეორდება კიდევ, რადგან იმის ნაცვლად, რომ ჩენი შვილები საკუთარი მიწა-წყლის მკოდნე—მომგელვლად აღეზარდოთ, თავის სოფელთა გამამშვენებლად,—თავის სუფელ პროფესიის ხალხად—სქედასხვა ჯუჯის ამოსაქმედ ვზრდითო..

აი, ყველაზე უფრო საშიშარი ნიავეღარი ჩენი ერისა!..

ზედისზედ მომსქდარი უბედურება გვცდის: სიცოცხლის მოსურნენი ვართ თუ საამარისკენ ფეხი გაგვიშვებია?\*

ქირში ნაწრთობი ჩენი ქვეყანა დაამტკიცებს, რომ სწორად ასეთ უბედურ შემთხვევადან წამოდგება ფენიქსებზე განახლებული..

ჩენ კი არ ვიღუპებით, არამედ აღორძინებისაკენ ხელი გაგვიშვებია ..

დაე, ამ უბედურმა შემთხვევამ კიდევ ერთხელ ჩაგვიწეროს გარეშემოკრებისა და ერთობის გრძობა.. დაგვიმტკიცოს, რომ საქიროა ცოცხალ ძალთა მომზადება და საერო თანხის შედგენა ასეთ შემთხვევათა დასაძლევად..

დღესდღეობით-კი ბუნების სიმძაფრისგან თავზარდაცემულ, დაზარალებულ ხალხს, რა თქმა უნდა, ყოველი ადამიანი, ჩენი ქვეყნის ყოველი შვილი და საზოგადო-საფინანსო დაწესებულება საჩქაროდ უნდა შეეწიოს, რითაც

კი შეიძლება: პურით, საცმელით, ექიმობით, ფულით თუ სხვა გზით,—მაგრამ ეს შეეწენა უნდა იყოს არა ქალაქებზე წარმოებული, არამედ ნამდვილად განხორციელებული..

ხოლო უფრო მეტად გემათებს გამოცდებნით და ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც შეგვეძლოს სრულიად თუ არა, რაოდენადმე მაინც ავიცდინოთ ხოლმე ბუნების მოვლენათა სიმძაფრე..

ქართველო ხალხო! ბედი გცდის და ვინძლო ყოჩაღად შეხედე!..

## დედა—შვილი

(ძღვნათ აჭარელ-მამადანი ქართველებს)

—დელიკო, დედა, გვიშველე!  
 ბუდეს გვიწგრევენ ქორები:  
 სულ ავიხარეს სამყარე,  
 ჩენი ქველუცი გორები,  
 არ გვაყენებენ მტარვლნი  
 მშობელი ქვეყნის უბეში:  
 გვედენიან, გველტენ, სისხლს გვეწოვენ,—  
 არ არის ჩვენთვის ნუგეში..  
 დელიკო, დედა! ხომ გესმის  
 შენი შვილების წივილი,  
 დაქრილთა კენესა მზარავი,  
 წყალულთა უთქმელი ტკივილი?!

—ვაი თქვენს დედას, შვილებო!  
 მესმის—და გული მიკვდება..  
 შვილებზე დედის ძრწუნვასა  
 სხვა ვერვინ, ვერვინ მიხვდება!..  
 მესმის—და მინდა მოსისხართ  
 ბრძოლთ შევაკვდე ზარემა,  
 რომ თქვენთან ერთად მიმხვევროს  
 მეც თქვენმა ბედმა მწარემა!..

და იწვეს დედა შვილთაკენ,  
 სურვილით ფერი ეცვლება,—  
 მაგრამ გზადაგზა ბრძოლაში  
 თვით მასაც სისხლი ეცვლება..  
 სურს ჩაიკონოს გულ-მკერდში,—  
 შვილთა ნუგეში სწყურია ..  
 მაგრამ ჯერ მათთვის ნუგეშით  
 მხოლოდ მტრობა და შურია..

სილოვანი





მგოსანი ი. ჭგრიშაშვილი და მწერალი კაბ. ავ. აბესაძე (დასჯილია მარცხენა ფეხში), კისლაფოფსკში.

### აკაკის სული

ყველა იმ მგოსნის სულები, რომლებიც ზიტებიით ლაღად, ძალ-დაუტანებლივ ჰგალობენ და აღიდებენ ტურფა ცა-ქვეყნის შემოქმედს — ჟამიერი სიცოცხლის შემდეგ სამოთხის ნაცულად პარნასისკენ მიჰქროლავენ...

აკაკის სულიც გაჰფრინდა იმ მთისკენ და წარსდგა აფროდიტეს წინაშე...

ჩვეულებრივად აპოლოლო ჰღებულობს ხოლმე ახალმოსულებს, მაგრამ ამ ჟამად იქ არ იყო, დიანასთან ერთად კანჯრებზე წასულიყო სანადიროდ...

აფროდიტემ ვერ იცნო აკაკი... გაკვირვებით შეჰხვდა... პარნასელებმა კარგად იციოდნენ, თუ ქვეყნად რომელი და რამდენი მგოსანი აედერებდა ქნარს მშვენიერების სადიღებლად და აკაკი არა ჰყოლიათ სათვალავში...

— ეს რა მატარაკვეცა ვინმე ყოფილა — გაიფიქრა დია-ღმერთმა და უნდოდა ფაენებისათვის ბრძანებინა, რომ აკაკი სხვა ჯაგლაგი პოეტებისავით სულ კინწის კვრით გაედღენათ პარნასიდან, მაგრამ მისმა ვერცხლებრივ მზზინავმა იმამ, განიერ-ჰკვიანმა

შუბლმა და ნაღვლიანმა თვალებმა შეაჩერეს... მოწიწება და მოკრძალება რამ იგრძნო მისდამი...

— მოხუცო, თქვენ ალბათ სამოთხისაკენ მიბრძანდებოდით და გზა აგერიათ... ჩაბრძანდით ცოტა ძირს.. მერვე ცაშია ის მოთავსებული — თ ვაზიანდ მიჰმართა აფროდიტემ...

— ეს მერალამდენე ცაა? — თვისი ჩვეულებრივი ტკბილი ღიმილით შეეკითხა აკაკი.

— მეცხრეა... პარნასია აქ აღმართული.

— მეც სწორეთ მანდ ვიახლებით... მართალი ვითხრათ დიდ ბედნიერებად არ მიმჩნია თქვენი პარნასი... არ მიყვარს მაღალ ფარდებში აწევა.. მაგრამ ბევრი რამ დამაზარა ჩემმა მშობელმა ერმა აქ განსვენებულ მგოსნებთან და იმიტომ ამოველ ამ სიმაღლოზი, თორემ ჩემთვის სულ ერთია სადაც უნდა ვიყო.. ყველგან შევიძლებ ჩემი ღმერთის თაყუანს... სანთელ-საქმელი გზას არ დაჰკარგავს...

— უკაცროთ, თქვენი სახელი!..

— აკაკი!..

— მგოსანი ბრძანდებით?

— დიახ... მგოსანი — „გაგუთების საუკუბო“, ხან მაქისა ვარ, ხან ცისა“.

— არასოდეს ვაგვივია თქვენი სიმღერა...

ყველა ჰანგები, რომელნიც კი აედერებულან მგოსანთა მადლიან ჩანგზე მშვენიერების ღმერთთა სადიღებლად — მყის პარნასისკენ ამოკისკასდება ხოლმე...

თქვენ კი მგონია ერთხელაც არ უნდა გეთქვათ ბავშვთა ტიტინსავით უღარდელი და სუშბულის ფოთლების თროთლასავით უიღუმალესი მელოდები...

თქვენთვის უცხო უნდა იყოს ის ამოუცნობელი, მაგრამ ტკბილი ჰანგები, რომელსაც ვარსკვლავანი აწკრილებენ ლაქუარდის ქნარზე სიად გაბზულ მთვარის სხივებზე...

— სრული სიმართლე ბრძანე, მშვენიერო აფროდიტავ!

„ჩემს ჩანჯეს კუსთა არასოდეს ყველგანა, ჩემს თბოდ გულს ტკბილად ვარ უბეგრია...“



ან სად მეცალა, შე გასახარელო, ამ უზე-  
ნაესი გრძნობებისათვის, როდესაც ჩე-  
მი „სულაია“, ჩემი \*ჯა-ფიარუხ-ხმელთა-ზურ-  
მუხტა“ მამული იცავაქმნილია... მას დევ-  
ტრიალებდი... მისს გუშაგობაში დღე და  
ღამე მქონდა გასწორებული.. სად მეცალა  
უნისლო, ტკბილ ხმათათვის, როდესაც ნი-  
ათ გამოლეულ თანამემამულეთა გასამხნევებ-  
ლად და გასაფოლადებლად ომხიანად ვაკივ-  
ლებდი დაფსა და ნაღარას...

— ვერ გამიგია, — გააწყვეტნა აკაკის  
აფროდიტემ, რომელიც ჩვეული არ იყო ასე-  
თი ჩივილის მოსმენას — თუ პარნასელთათვის  
არ გეცალა, ნუ თუ სატრფო მინც არა  
გყვანდა, რომ მისადმი მინც მიგეძღვნა  
წმიდა ლოცვა, ნარნარი სავალობელი?..

— როგორ არა მყავს, ქალო, ნუ თუ  
ვერ მიმიხვდი

„ჩემი სატრფო ვინც არა?

ძველი ტურფა დღეს მკვდარივით მძინარა,  
ფეს-შაშველა, თავზე ლეჩაქ-ხადადი;  
უგრძობლად ჰყოფს სწუჯას სავათას

ძილი ..“

— ჰოო, ეხლა კი მიხვდები. თქვენი  
მღერის საგანი მამული ყოფილა... რა ჰქვი-  
ან ამ თქვენს სატრფოს?

— საქართველო.

— საქართველო. . რა ვქნა, არც ეს  
სახელი გამიგია...

მოიცა... მოიცა... რაღაც მაგონდება...

უფრო ივერიის სახელით იყო თქვენი ქვე-  
ყნა ცნობილი არა?.. ვიცნობ... ვიცნობ  
საქართველოს... დასწყველა ზევსემ, როგორ  
გადამივიწყდა!.. აღბათ გულიდან იმტომ  
გადამივიარდა, რომ კარგა ხანია რაც იქიდან  
არაფინ გვეტურებია.. ერთ დროს კი იცინი  
შოთას მეთაურობით შესანიშნავად გეოგლო-  
ბებდნენ. . სიღამაზე ჰქონდათ გაღმერთებუ-  
ლი... ფილოსოფოსი პლატონის თქმისა არ  
იყოს—მათი სიცოცხლე „შეგება აჟო მშუენიერე-  
ბაში“.

საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთის  
ქრისტიანებიდან მხოლოდ ქართველები აწყ-  
რიალებდნენ ქნარს ჰელლინური გრძნობით...  
ცხოველ-მყოფელი მიჯნურობის ცრელებით

პრწყავდნენ და აღაღებდნენ მშვენიერების  
უქნობელს წალოცს...

თვით ბერძენიც კი... ჰეზოდის, ჰომი-  
როსის, პრაქსიტელის, ფიდიუსის ნაშეირი  
ბერძენებიც კი ისე დაქი-ნდნენ, რომ მესვე-  
ტებივით გაურბოდნენ ჩვენზე ფიქრს, ვით  
ემშაქეულს...

ღიდებული რამ იყო საქართველო...  
ყველაფრით სახელოვანი და მდიდარი:  
პოეზიით... მხატვრობით... სურთ-მოდლე-  
რებით, ბუნებით... ტურფა ქალწულებით...  
მამაცი, გულ-კლდოვანი ვეცაკებით...

იაზონს ჯერაც არ ჩაჰკრობია გულში  
მედვას სიყვარული, თუმცა ამ უკანასკნელ-  
მა უგაფიგოსად დასაჯა იგი პატივმოყვარეო-  
ბისა და გაარმეებისათვის...

ოღისეიც ხშირად ნეტარებით იგონებს  
კეკლუტ კოლხეთს, სადაც ტურფა ცირცთა  
გულ-გაშლილობით და მოყვარულობით გაუ-  
მასპინძლდა დიონისოსაგან დაყენებულ ღვი-  
ნის ქაშნიკით.

ისეთი მომხიბლავი, ისეთი გრძეული  
იყო ის დასაქცევით — იტყვის ხოლმე ოდი-  
სეი — რომ კინაღამ არ დამიმონავა და არ  
გადამფიქრებინა ტროასკენ გალაშქრებოა.

ბევრი, ძალიან ბევრია მოხიბლული სა-  
ქართველოს ცისარტყელოვანი წარსულით.

ეხლა კი ეხლა... რა დაჰმართინა?.. რას  
მიღბინდავს და მიუქნებინა?..

აღარც კი მეგონა, თუ კიდევ არსებობ-  
დით...

საქართველოდან უკანასკნელად ბართა-  
შვილი გვეწვია, მაგრამ ისიც ვერ იქნა ვერ  
მივიკარეთ და ვერ გავამხიარულეთ...

რამდენჯერა სცადა ბესიკმა თვისი მე-  
ხამბაზებით და შიქსტებით გადაეყარა მისი  
სახიდან კაემნის ნისლი, მაგრამ ამაოლ: ოდ-  
ნავაც ვერ გააღიმა. სულ მარტოდ მარტო  
იარება შავით დათაბლული და სჩივის სუ-  
ლის მოლობას...

— რაც სთქვით საქართველოს წარსულ-  
ზე, ხალასი კემშარიტებაა...

ეს არც ისე გასაკვირველია, ვინაიდან  
ეს ის დრო იყო, როდესაც:

„...საქართველას ეოყეღ კუთხაი  
მოყუარა თავი ერსა,





იღვინდნენ და გაჭვიადნენ  
 ერთხმად „მრავალ-წამიერსა“.  
 და მართლაც და რამ ჰქმენოდნენ  
 მაშინ იმათ ეს მოაზრება,  
 რადგან იმ დროს ცადმოსული  
 იყო ქართლზე მადლი ზენა.

კარე მტკერი დაარეგუნდა  
 შუღლს მათ გუდარ უბედადა  
 და შინაგან მშვიდობასაც  
 უნ იყო, რომ ვერ ჰხედავდა?..

ამის გულა უხრდათ  
 ნატონს და უმას, უკვდას ერთად,  
 კაცსა კაცად აფხვებდნენ,  
 ადიდებდნენ ღმერთსა ღმერთად...

ასეთი იყო ერთ დროს საქართველო, მაგ-  
 რამ მუხთილ ბედს შეკმურდა მისი ბედნიე-  
 რება... ამოიღო თვალში და ერთი დღე არ  
 მიუტია მოსვენება...

მარტო თემურ-ლენგმა და შაჰ-აბაზმა  
 რაც ველურობა ჩაიდინეს ჩვენში, იმას ჯო-  
 ჯობითის ელჩები ვერ შესძლებდნენ...

მაგრამ, თურმე, ეს ღვთის წყალო-  
 ბა ყოფილიყო იმ საშინელებასთან, რაც შე-  
 მდეგ გვაწევნია ტრაღიმა ბედმა...

შვიდ უკულმა იმ 1795 წელიწადი,  
 როდესაც ალა-მამადა-ხანმა კრწანისის ველებზე  
 დაამარცხა ქართველი მხედრობა—ქართლის  
 ბედიც მაშინ გადასწყდა საბოლოოდ...  
 დაექანა ვაგლახის დაღმართზე და სად, რო-  
 დის შესწყდება ეს უკულმართი სრბოლა—  
 არავინ იცის... არავინაა ვამეითხავი... არსაი-  
 დანა სჩანს... მუქაფის მიმზღვევი.

— მემრე სადაა გულადი, შემმართებე-  
 ლი ქართველობა? რატომ არ ჰხედავს შემა-  
 ძრწუნებელს ყოფას?... რატომ გიორგი საა-  
 კაძისავით მეხთა ქეხებით არ დაატყდება მუ-  
 ხანათ მტერს და არ ანანებს გაჩენის  
 დღესა?..

— ეჰ, საცოდავს ხალხს რა მოვთხოვო,  
 როდესაც ის ბნელშია... განუქვრეტელ ბნე-  
 ლში... მართალია ჰგონობს უსამართლობას...  
 ჰგმინავს გულის საკლავად, მაგრამ ბრძოლა  
 ვერ მოუხერხებია... დაუძღურებულა მეტის  
 მეტი ვაებისაგან... გადამღვტაღი...

აფროდიტე უზომოდ დაანადგურა ამა-  
 იმავამა... ცრემლებით ავესო მარად მოცინა-  
 რე თვალები...

— უნდა უწველოთ... უმკველად უნდა  
 უწველოთ საქართველოს... მაგრამ როგორ?...  
 ვის მეუხებით?..

მოდრი ფერიებს გაუგზავნი... იგინი ტკ-  
 ბილი გალობით და მოქნილი ცეკვით გაუ-  
 ქარვებენ ნადევს... გაუხალისებენ სულს...

— ცრემლებით გათანგულ ხალხის  
 გულს ვერ ჩასწყდება უცხო ფერიების იღუ-  
 მალი გალობა,—მიუგო აკაკიმ...

— თავ სიანს გაუგზავნი... თუნდა ბა-  
 რათაშვილს... დაე, ის წაუძღვეს ბნელში მა-  
 ვალთ ნა-ელ ქვეყნისკენ...

— ბარათაშვილი თვისი უსასოო ლექსე-  
 ბით უარესად და ნადვირ ნებს და დარჩი-  
 ლავს მათს სულს...

— მაშ შოთას გაუგზავნი...

— ვაგლა!.. შოთა ვეღარ იცნობს აზრ-  
 დილთა სამეფოდ ქცეულს მამულს და ვერ-  
 ცა სცემს მზიურს ნუგეშინს...

აფროდიტე უმცროვ ლამაზა აზრმა გაუ-  
 ბრწყინა სახე და წარმოსტკე :

— წყვილიდით შესუღრულს საქარვე-  
 ლოს ეჭირვება მზე... და ამ მზედ გადაგაქ-  
 ცევ შერ, დიდებულო აკაკი!..

სიც-ტხლში ხომ ლამარ დ ნთებულხარ  
 შენის ქვეყნს საქართველზე და დეე ახ-  
 ლაქ შენმა ქათქ თმა გააუქოს ჩაწყვილად -  
 ბული მხარე... ამოაშროს ქანტობები...  
 აყავივილოს გადაბრუქუ ი მიდამოებ... ალა-  
 გზნოს შემოქმედებითი ცეცხლით ქართველ-  
 თა გულნი, რომ კვლ ვ იწყონ მშენიერების  
 ქებათა ქება...

მართლაც მოხდა სასწაული...

ზღვის შხეფე სავით უანგარიშო სხივებმა  
 კისკასად გააქრიოლეს საქართველოსკენ,  
 მოეფინენ დამზრალ-მოზუშულ მდელირებს...  
 უსაზღვრო სიყვარულით ეამბორნენ ღონე-  
 მიხდილ მიჯასკოსტულ ხალხს და სასოებით  
 გაუბრწყინეს მძულარე ცრემლებით დაცრი-  
 ტებული თვლები...

.....

მოეყაროთ მუხლნი მზის წინაშე... ის აკაკის სულია... იგი გვიცინის, გველამუნება აღერსიანი კაშკაშით...

მარად ნორჩი და უკვდავი ჩვენც მოგვანიჭებებს მარადიულს ლამაზს სიცოცხლეს...

დ. თურდოსპირელი

# ღასის მოგზაურობა

(გაგრძელება. იხ. „თ.და ც.“ № 25)

### III

პეველა ქათამაძე უმრწემესი მსახიობ-ქალი იყო №-ს დასისა, მაგრამ საზოგადოების ყურადღებას თანდათან იპყრობდა. დასში მას უფრო გაიანეს ემხანდენ, რადგან ოთარბეგის აღმასრულებელი ხშირად ეხუმრებოდა: „მალა-მალაღია, ტანადი... მისი თვალები? არა, თვალები არ უვარგა, დედოფალი“!..და გულიანად გაიცინებდა. პეველა კი მორცხვად მილულავდა გრძელ წამწებინა შევ-თვლებს და ცოტა კეკლუცობით, მაგრამ საკვირველის თავმდაბლობით, თითქო ემოწმებოდა ოთარბეგს: —დიად, თვალები არ მივარგაო. რეკისორს კი უხაროდა: ძლივს ერთი მალა-ტანიანი ქალი არ გაგვიჩნდა დასში!

თვითონ პეველა მართლაც და ძალიან მცირე აზრის იყო თავის თავზე. ჯერ თითქმის ცხოვრებაში გამოუსვლელი იყო და მისი სილამაზის ქებით არც თუ იმდენად იყო განეხივრებული. დასში ხუმრობით, მაგრამ თითქმის ყველა დასცილიდა—ეგებ ლამაზი გოგონა შენი თავიო!.. ბ. გაუმძღარიც თვის რეცენზიებში მის სახე-პირზე კრიტიკას არა ძრავდა. ხშირად უღმობელათაც ექცეოდა. განსაკუთრებით, როდესაც რომელიმე არისტოკრატის ქალის როლი ჰქონდა დაკისრებული: —აბა რა მისი საქმეა ფრანგი მარკიზის ქალის განსახიერებაო!

და პეველასაც იმდენად აღარა სწამდა მისი მიზიდვლობა. დასშიაც ყველას იმიტომ უყვარდა, რომ უპრეტენზიო, მორიდებული და ჩუმი მუშა იყო. ნიქსაც გაზეთებში არც თუ იმდენად უქებდნენ და ამ მხრივაც თავის

თავზე რიგიანი წარმოდგენა არ ჰქონდა. ჰქონდა თავის თავის რწმენა. საამისოდ არავინ აფულიანებდა და ხშირად ექვით მოპყრობილს, თუმცა მხოლოდ მეორე სეზონი იყო სცენაზე, დაბადებია მოურენველი სურვილი, რომ სცენისთვის თავი გაენებინა: მხოლოდ თუ კიდევ მუშაობდა თეატრში იმის გამო, რომ ექვი, იმუღიანი ექვი მაინც უღვივოდა გულში. „ვინ იცის“ო, ფიქრობდა და თან გასამხნევებლად ისიც ჰქონდა დარჩენილი, რომ მის მუდამ კობტა ჩაცმულობას ყველა აქებდა. თვით გაუმძღარმაც კი უხსნა ეს ნიჭი კეკლუცად მოკაზმვისა. პეველაც გადაღული იყო ამისთვის. ბუნებით თანდაყოლი ჰქონდა მეტი ნაზი გემოვნება ჩაცმადანუხრვისა და ეს თვისი ნიჭებულება გარეგანის მხრივ შეჰქონდა ყველა თვის როლში. სულ უბრალო ტანისამოსიც რომ ჩაეცვა, ყოველთვის განსხვავებული, თავისთავადი და მოხდენილი იყო მისი მორთულობა.

არც თავისი გვარი მოსწონდა პეველას და როდესაც პირველად დასში შევიდა, კინალამ აცრემლდა კიდევ ამის გამო. მით უფრო, როდესაც თვით უფესორმაც შეტსმეტ პროზაიკულად ჩასთვლა გვარი „ქათამაძე“.

—უთუოდ რაიმე ფსევდონიმი უნდა დაირქვათო.—შესთავაზა მან.

ბევრი თავი იმტვრის რეკისორმა და პეველამ—ცოტა ხერიანი გვარი მაინც გამოგონებინათ, პეველას წინაპართა საცხოვრებელი სოფელიც კი გაიხსენეს—ხეიქიანია მაგრამ არც ეგ გამოადგათ. „ხეიქიანი“ როგორდაც უღაზათო გამოდიოდა.

ბოლოს სუფლიორ ვარლამს წამოცდა: —მოდი, გუბაზოურელი იყოსო.

სიდიან მოიტანა ეს სახელი?

—რალც ამგვარი გამოგონია, გოგონა გურიაში წყალს ჰქვია სახელათო...

მმ... გუ-ბა-ზა-უ-რ-ელი?!

ყვლას მოეწონა: მძღარია, მსუქანი, ყვირის!

სასცენოა ნამდვილად. შესთანხმდნენ





და იმ დღიდან არის მოველინა ჩვენს სტენას—

პებელა გუბაზოურელი.

რამდენი სიცილი იყო შემდეგ დასში ამ გვა-  
რის ზესახებ. რა კალამზურები/ერთხელ კინაღამ,  
ახლა ამისთვისაც, აატირეს პებელა. მაგრამ რევი-  
აორის ავტორიტეტულმა ხმამ ყველანი და-  
აწყწარა და პებელასაც შეწუხების ცრემლი  
მოსწმინდა.

იი, ამ ახალგაზდა მსახიობქალთან უნდა

მიეტანათ იერი ში, როგორც თვითონ ამბობდნენ  
სამოგზაუროთ შეთქმულებს: სოსოს, ანდროს  
და ვარლამს.

— ძმა არ გამოუშვებსო! — ამტკიცებდა  
ანდრო.

— რას ქვია არ გამოუშვებს? სულ ჩა-  
ვუმტრევე მის ტელეფონს აპარატებსო! —  
ბაქი-ბუქობდა ვარლამი.

*გვარამია*

(გაგრძელება იქნება)

**ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ვ უ ს ი კ ა**  
აღ. ოგანეზაშვილი

**ო რ ი მ ო ნ ა ლ ი რ ე**

(ხალხური)



სოღანლუხელი,  
ამილახურ. ნაუგე-  
ვის შვილი, შვი-  
დის წლისამ დაიწ-  
ყო ნაღარაზე დაკე-  
რა, შემდეგ დაი-  
რაზე დაძღვრებით,  
ბოლოს თარზე და  
ახლა ჭიანურსა და  
ადმოსაუღეთაის სხ.  
საკრებებზე (რომ-  
ლებიც კუკასიაში  
არცკია) უკრავს.  
სწავლა შინაური  
ქვის მადებელი (დე-  
და ადრე გარდაე-  
ცადა) და თეი-

ხელაგანი მუჭიანურე  
ალექს. ოგანეზაშვილი

სით შეისწავლა ადმოსაუღეთაის მუსიკა. მონა-  
წილობდა თბილისის, ბაქოსა და კუკასიის სხვა  
ქალაქებში გამართულ დიდს კონცერტებში,  
რის გამო ადგილობრივ თუ სტახტო ქალაქთა  
გასეტებში ქებით მოიხსენიებდნენ. ომიანობას  
რომ ხელი არ შეეშალა—რუსეთის ქალაქებსა  
და სახლდარგეთად იწვევდნენ მას. დასწერა  
თათრულად: ოპერა „ოფრატ და შირინ“ (ბაქო-  
ში სამჯერ წარმოდანანეს), ქართულად — თარ-  
სა და ჭიანურსზე დაკავრის თეორია ნოტებით  
(დღემდე არა უოფილა დაქვრიალი) მან შეითი-  
დო ნოტებით თარზე დაკვრა, ასე რომ ეკვლას  
შეუძლიან ნოტებით შეისწავლას თარსა ან  
ჭიანურსზე დაკვრა. ამ უამად სწორს ადმოსაუ-  
ღეთაის მუსიკაის შესახებ წერიალეს.

ორ მეგობარ მეფეს თითო კარგი მონა-  
ღირე ჰყავდათ. ერთხელ მეგობრები ნაღმიდ  
იხსდნენ და თავთავის მონადირის ქებაში  
იყენენ; თითოეული მათგანი თავისას აქებდა  
და მათ პირველობას ერთი მეორეს ჯარ უთ-  
მობდა. რადგანაც საქმე ასე გავიანურდა,  
გადაწყვიტეს: სანადიროთ გავგზავნოთ, და  
რომელი მათგანიც დანიშნულ ნადირის  
ტყავს მოგვიტანს—პირველი ის იქნებაო.

იხმეს მონადირენი და უბრძანეს: „წა-  
დით და შვე მთაში რომ თეთრი დათვია,  
მისი ტყავი მოგვიტანეთ. რომელიც ტყავს  
მოიტანს—მას უხვი წყალობა მიენიჭება,  
რომელაც არა—სიკვდილით დაისჯებაო.“

მონადირენი ჩააკვივდნენ საგონებელში,  
მაგრამ რაღას იზამდნენ—წავიდნენ.

მიუახლოვდნენ თუ არა შვე მთას, დათვის  
კვალი ნახეს,—მთისკენ მიდიოდა, დადგნენ  
ერთ ალაგს და დაიწყეს დავა: —არა, ჩემ მე-  
ფეს ეკუთვნის ტყავი და არა ჩემსაო. ამ  
ჩხუბზე მათ ერთი მგზავრი მიაწყდა. მგზავრი  
შეეკითხა ჩხუბის მიზეზს და როცა გაიკო  
საქმე რაშიც იყო, გაიცინა და უთხრა: „და-  
თვის ნათეხურზე ერთმანეთს რა თავე ავ-  
ლავთ, ჯერ ტყავი იგდეთ ხელში და კუთ-  
ვნილობაზე მერე ილაპარაკეთოა.“

ჭიჭიკო



ეს ხალხი წვეს და იცობნის—კუბი მადლარი ჰქონია! — დამჭარი ჩვენი თეატრი აშენებული ჰქონია!..

# მ უ მ ლ ი

1

შენ წასვლის დროს მუმლი მომე და მითხარი: **ჩასუყარლო!**  
 ესაც ჩემებრ შეიერლომე,  
 ვინძლო ისე ასახელო,  
 როგორც თვით მე პატივს მცემო:  
 და თუ წერილს—ცრემლით ნაწერს—  
 ვერ მიიღებ დიდის ხნობით:  
 გადახედე მაშინ ამ მწერს,  
 გადახედე თანაგრძობით  
 და ყველაფერს გეტყვის, ჩემო.ა

2

მუმლი მოკვდა... მუმლის ლემი  
 ისევე ისე ძვეს უბრუნელად;  
 მე კი სიცილილს სიცოცხლემში  
 ვებრძვი, ვებრძვი ასახსნელად  
 და ვერ ავხსენ საიდუმლო.  
 არც სატროსგან ვიღებ წერილს,  
 ხომ არ იცი, მუმლო, რატომ?—  
 მე გიყურებ ფრთებ-დაშვერილს...  
 მე დახედე მარტოს მარტო  
 და ყველაფერს მიხვდი, მუმლო.



# ზაასი აჭარელთან

21-ს ივნისს, კვირა დღით ვისარგებლე შემთხვევით, სულის შემსუაფე შიმე, ტუვას-  
 ვით ნოტიო ბათუმის ქაერს თავი დაგხსნიე და  
 აგარავ ციხის ძირისაკენ გავეშურე. თვით ქ.  
 ბათუმში და მისი ხალა-მხალა მდებარე ადგი-  
 ლემა საფეხლდობით ცუდ შინობებშია, რადგან

გარშემა ბუერგან ჭაობებია, საიდანაც  
 მანუბელი ოსშოვარი ადის... სულ სხვაა რჩინის  
 ტვის გათვალბაზე მდებარე ადგილები: მახინ-  
 ჟაური, მწვანე კონცხი (Зеленный мыс),  
 ჩაქვა, ბუენარი, ციხის ძირი და სხ... აქ მოე-  
 ლი არე-შარე აღმანის კუდტურას ან ხელს  
 აუფეგალებია და ედმისთვის დაუ სვავსებია.  
 თვით ეს ადგილები მადლობია და გასწუწუტ-  
 ლეე მკერილებელი სიო ჭქრის და სიტკობების  
 ნექტარს ადგადრავთ სხეულშია!..

მატარებელში ერთ აჭარელს მოვკარი თვა-  
 ლი. ცნობისმოყვარობამ გამიტაცა—გამომე-  
 კითხა რამე...

- ს: დაური ხარ, კიბობლო? — ვეითხე
- მაჭახელეა.
- სახელი, ვუარი?
- ოსმან გიორგაძე.
- თქვენც ხომ არ დახარაღდით ომისა-

გან? შეუქვითხე კვლავ.

— ჩვენამდის აღარ მოახწია ომს, სე-  
 მოურში ვცხოვრობით, მაგრამ ჩვენი მესობელი  
 — ქვემო აჭარლები დღეათ დახანდაწენ.  
 ბუერმა მოყვარულით ჩვენ შემოგვაფარა თავი...  
 და დღეს-კი დაუბრუნდენ თავიანთ სახლებს,  
 მაგრამ სახლებში კი არაფერი დახვდათ, ვეკლ-  
 ფერი დამწვარ-წამხანარია.ა

— საქართველოდან თქვენ მოძიე ქრის-  
 ტიან ქართველებმისგან დახსრებას ხომ ღებუ-  
 ლაბენ?

— როგორ არა... დმერთმა ააშენის ისე-  
 ნი—კაია, რომ ამისთანა გაჭირვებისას დაგე-  
 ხმანენ. — დიდი უბედურობა დატრიალდა ქვე-  
 მოს აჭარაში—განაგრძოთ გიორგაძემ: — რამდენიმე  
 სოფელი გაიქცა და ჭრორის კალმა სოფელ  
 გ—ს შეაფარა თავი... რუსის ჯარს ოსმალთს  
 უხეტნიკებმა ეგონა და ისიუო მუორე დღეს ბერი-  
 ში უნდა მიეტრახათ და ხანაზახები დაეიშნათ.  
 ეს გაიგეს აქაურებმა, იმ დამეს ერთი ხალაშე-  
 ნელი ხალაგაზდა გამომარეულია ბათუმს და  
 ეამხნა იმ დროს ბათუმში მუთფ დეპუტატ ჩხენ-  
 კელითვის, რომელსაც ეს ამბავი მოეხსენებინა  
 კომანდანტისათვის. კომანდანტს საქაროდ შე-  
 ეწერებინა ჯარი და ის იმადენა სული ხალხი გაწ-  
 ვეტარს გადარჩა... მოაჭირი — ფაშა დაბრუნ-





# ბრძოლის ველზე



**ჯ. - ი. გ. ნახუცრი შვილი**  
ხაშვილი, სარიფიმიშვიან ბრძოლის დროს, 2. დეკ. მოკლული.



**ვ. მარის-კაცია მიჭუტიშვილი**  
(დაჭრილი)



**ვ. მარის-კაცია მიჭუტიშვილი**  
(დაშავებული)



**გერ. შ. გ. ნიკოლაიშვილი**  
დაჭრილი, წყნს მოსკოვის ერთ-ერთ ლაზარეთში.

და სტამბოლიდან 3-4 წლის წინეთ, სოფელ ქ—ს მშენებრი სახლ-კარი მოაწყო და დასახლდა ცოლშვილით, ხსლ აზრები იცის ცოლ-შვილი და თვითონ სლ აზრან. . დარჩენილ 80 წ. მოხუცი, რომელიც კადრით უტარებიათ გაქცევის დროს და რაი ზიდვა გასჭირვებიათ, დაუტეიათ გზაში. იგი ჯარის კაცებს ისევ თავის სახლში მოუყვანათ და თან ერთი შავი მური მიუტეიათ, რომლითაც თურმე ბევრ ხანს იკეპებოდა და დღესაც დონდალა — მომსწრე ბევრი უბედურებისა... ამ უამად ქვემო აჯარაში ვინც დარჩენილიყვენ — სახლგახდანი, რომელთაც მუშაობა და აზრადის ტარება შეუძლოთ, უკვლანი რუსის მთავრობამ წაასხა — გზები უნდა გაგაკეთებინათო გეითხრეს. წივიც (წერილი) არ მოსდის აზრის — არ იციან სლ აზრან, სამეტანთ სწუხან ბ. დანანი და მოხუცნი...

**ბ. ინას — რიქე**

## ე ნ ი ტ ა ფ ი ა

უსამართლობის ცხოვრების ზღვაში შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები! და იმ ტანჯვების უღმერთობაში კაცთა სიავის შწარე ექვები არ შეჭებინ შენს კეთილ გულსა, რომელშიაცა მძათ სიყვარულსა. ენთო უშრეტი წმინდა ლამპარი, ის ანათებდა შენსა წასრულსა — ამით იქნები დაუვიწყარი... და შენს სიცოცხლეს უბედოს, შწარეს, ძეგლი ხსოვნისა დაეცვენება, და შენს მოწყენილს, ღარიბ სამარეს კურთხევის ცრემლი დაეწვეთება!..

**გ. შ. შარვაშიძე**

# მ წ ი რ ი - ს ა რ ღ ა ლ ი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 25)

**მართა** ცოტა მოიცა კიდე მქვს რალაც შენთან სათქმელი..

**ნინო** გვიგვიანდება: ჩემი ძმა გველის, მძიმედ დაჭრილი, და მთელი ჯარიც ჩვენ გველოდება!..

**მართა** (შწარე დიმილით) განა არ ვიცი? გელოდებიან

შენ ძმა და ჯარი; შენც გეჩქარება: ძმას დაამშვიდებ, ჯარს გაამხნევებ და სხვა-კი აბა რა გენაღვლება?.. გივი ხვალ ბრძოლის ველს მიაშურებს; შენი გულისთვის მტერს შეაკვდება



და მე აქ სევდა შემშლის ჭკუიდან,  
 მაგრამ შენ აბა რა გენაღვლება? .  
 გავა დრო; მტერი ან გვძლევს, ან  
 დავძლევთ;

ჩვენი ქვეყანა კვლავ დამწვრილებია;  
 შენ ახალგაზრდა უზრუნველ გულსაც  
 ის ყველაფერი დაივიწყებ;  
 ნახავ სხვა ვაჟაკს, გივიზე ლამაზს,  
 და ახლა იგი შეგიყვარდება;  
 ის თანაგვიგონობს,—შენსა შეგენებას  
 ვერც მისი გული გაუმაგრდება  
 და ბედნიერი რომ თვით იქნები,  
 სხვას რას დაეძებ, რა გენაღვლება?..

**ნინო** ოჰ, კმარა, კმარა! ნულარა

მტანჯავ:  
 ნუ შეურაცხყოფ ჩემ წმიდა გრძნობას  
 და ნუ შებღალავ უღირს ეჭვებით  
 ჩემ გულწრფელობას, უანგარობას!..  
 შენც ხომ ოთარი მარტო გიყვარდა;  
 მხოლოდ მას უძღვევ სული და გული  
 და რად გგონია, რომ შენისთანა  
 არ შემიძლიან მეც სიყვარული?..

(ტრემულანტო)

მითხარი მაინც, რით დღვარწმუნო,  
 რომ ჩემი სატრფო და საყვარელი  
 მხოლოდ გივია; ისევე იქნება;  
 ის, პირველი და უკანასკნელი?..  
 გ-ნდა, წავიღეთ ახლავ საყდარში  
 და შემოგფიცავ ჯვარსა და ხატზე,  
 რომ არაოდეს, გარდა გივისა,  
 არც კი ვიფიქრო მე სხვა ვაჟაკზე;  
 რომ მას, მარტო მას, ჩემი ქალობა,  
 ჩემი სიცოცხლე შევწირო სრულად  
 და, თუ მართლა ის მოჰყვდა ამ ომშიც,  
 სამარადისოდ დავრჩე ქალწულად!..

**მართა** (მღაღვარებით) კარგი, წავიდეთ,  
 მაგრამ, მითხარი,

რა საქირია ფიცის დადება?..  
 თუ მართალია, რომ გივის გარდა  
 შენ აღარავინ შეგიყვარდება;  
 რომ ცოცხალს, თუ მკვდარს,  
 შენი ქალობა

საუკუნოდ მას შეეწირება,—  
 აქვე, ახლავ, ბარემაც ჯვარი  
 თქვენ დაიწერეთ და ის იქნება! .

ფიცს არ აჯობებს, რომ სამუდამოდ  
 წმიდა გვირგვინით შეუერთდები  
 და არა მარტო ფიქრით, ოცნებით,  
 ნამდვილად მისი ცოლი გახდები?..  
 ეგებ ღმერთმა ჰქნას და მისი შვილი  
 მაინც მაჩვენოს, მის დამკარგველს!..  
 ოჰ, მტირედ მაინც შევიმსულებებ  
 მაშინ, ბედარული, მწარე ნადველსა!..

**ნინო** (აღშფოთებით) მართა, შენ ხუმ-  
 რობ, თუ მართლა ამბობ?  
 ან მცდი, თვალთმაქცობ?..

**მართა** რა მესუმრება,  
 მეთვალთმაქცება, როდესაც გულში  
 მთელ ჯოჯოხეთის ცეცხლი მეგზნება?..

**ნინო** მაშ, ახლა რა დროს ჯვარის წერაა?  
**მართა** რა უღროგოა?.. ხვალ, შეიძლება,  
 მოჰკლან კიდევაც!.. თუ... გეშინია,  
 რომ მალე გეღოს შენ დაქვრივება?..

**ნინო** კარგი, თანხმა ვარ! აღარ დავეძებ,  
 გულკეთილობა, თუ ბოროტება  
 გალაპარაკებს; ან სევდისაგან  
 ხომ არ შეგერყა მართლაც გონება? .

(მოშორდება საჩქაროდ, მართაც უკან მიჰქუება,  
 ერასთაფი, გივი და მსხუნრნი შემოდიან. ნინო  
 მოჰკიდებს ხელს გავის და მღაღვარებით ერას-  
 თაფს)

მამა, დაველოცე,—ახლავ ჯვარს ვიწერთ!  
 თვითონ მართამაც ასე იწება;  
 მეც ასე მიწდა და, ალბად, გივიც  
 წინააღმდეგი არ შეიქნება! .

(ერასთაფი, გატეხული, უუგრებს ჯერ ნინოს  
 და შემდეგ მართას)

**მართა** (ხანაღაღვ სამშვიდით). დილა,  
 რომ გივი აღკვეცილიყო  
 ხვალ ბერად იყო გადაწყვეტილი;  
 მაგრამ, რადგანაც ომში ისტუმრებთ,  
 დაე, წავიდეს, ჯვარდაწერილი!..

**ერისთავი** ძალიან კარგი!..  
 (ღაღაფს ნინოსა და გავის) ღმერთმა  
 აკურთხოს

ეს უცებური თქვენი ქორწილი!  
 ღმერთმა გისმინოთ და აგისრულოთ  
 ყოველი თქვენი ნატვრა-სურვილი!..

**მართა** (ხელს მოჰკიდებს ნინოს და გავის)  
 აბა, წავიდეთ! ალბად, ჯერ კიდევ





# არის თუ არა ქართული თეატრი—ქართული?

(დასასრული. იხ. „თ. დ. ც.“ № 25)

საყდარში არის თვით წინამძღვარი  
და მე თვითონვე მიგიყვანთ მასთან  
და ვთხოვ, ახლავე დაგწეროს ჯგერით..  
მიდიან. ერისთავი დაჟდებდა და, ჩაიფრებულნი,  
კრავდასანს ათამაშებს. დადამღება და მთვარე  
გამოხატებს, რამდენისამე ხნის შემდეგ მთის-  
მის აჩქარებული ფეხის ხმა და შემოვარდნება  
თავში შეგვიდა და თმა ჩამოშლილი მართა)  
**ერისთავი** (შეშინებული) რა ამბავია?  
**მართა** (აფხვრებს) რა ამბავია?..

რაღა ამბავია, არ იცი, განა?..  
(ერთ წერტილს მიაშტერდება და, მოვარაის  
სხივებით გაშუქებული, ეკვალ სიტყვის გერ-  
ქლებით და თან ხელების შლით)  
გაპქრა წყვილიად; ციურ სინათლით  
გაბრწყინებულია მთელი ქვეყანა!  
აღარ მოისმის კენესა-ტრილი  
და ნეტარება სუფევს ყველგანა!..  
შეწყდა სისხლის ღვრა და უხარიან  
დიღსა და მცირეს; ქაბუკს და ხნიერს!..  
დაარულდა ტანჯვა, გათავდა გლოვა  
და ქორწილია: გვიე ჯვარს იწერს!..  
გივი ჯვარს იწერს და ცოლად იროთავს  
ერისთავის ქალს, ნინოს, შშვენიერს!..  
გივი ჯვარს იწერს!..

(ტახტისხარებს) ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!  
სხვა რაღა უნდა დედს, ბედნიერს?..  
(წასვლას აბრებს)

**ერისთავი** (ტანჯვით) მართა სად მიხვალ?  
**მართა** (მოაუბრუნდება) როგორ თუ სადა?..  
არ უნდა უთხრა, მაშ, ჩემ ოთარსა,  
რომ ჩენი გივი დავვივაქცავდა  
და, ბედნიერი დღეს იწერს ჯვარსა?..  
გივი ჯვარს იწერს და არ ვახარო  
მაშ, ეს ამბავი მთავა და ბარსა?!

(ტახტისხარებს) ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..  
(გაქიქვდა ხარხარით)  
**ერისთავი** (მსახურით) არ გადიჩიხოს  
ეგ უბედური სადმე ხრამ-ხევში!  
(მსახური უკან დაეკეცება) ერისთავი ცისკენ  
ხელკე-აწერობით)  
ღმერთო, ამ ქვეყნად შენ მოგვევლინე,  
ჩენი ბედიც შენ გიპყრო ხელში!..  
(მართას ხარხარი უფრო და უფრო შორიდან  
შეისმის)

**ფარდა**  
**დუბუ მებრელი**  
(შემდგვი იქნება)

ზირაქით, თუ შორს წავალ, არის იგი—  
ქართ. თეატ. თვით სტენიურ საშუალებათა კი. დღე-  
ვანდელ დღეს გამოუვლელი ზღვსტიკა, კალი,  
ინტონაცია, რიტმი-სტილი არ არიან ქართულ  
დედა ძარღვზე სხსმულნი. ქართულმა სტენამ  
გერ შესძლო ქართველ და მანანის სხუელის მოძ-  
რაობის შესწავლა, ამ მოძრაობის ძირითად  
რიტმის განხილვა-გამოცნობა და ქართულ ელ-  
ფრით მოცულ ზღვსტიკის შექმნა სტენასზე.  
მერე ეს მოხდა ჩვენში, საქართველოში, სადაც  
ქართველ კაცზე ღამაშ მოსიარულეს, ბუნებრივ  
პრაპორციით შექმულ მოძრაობის შქანეს ჯერ-  
ჯერობით ბადალი არ ჰქაეს დედამწის ხურ-  
ტზე. ქართველი დაღის საუცხოოდ, ფეხს  
სღვამს გაბეღულად, და არა ჩხუბგად, მოშვე-  
ბული, რგორც რუსი, და მოუღო კორნუსიც  
გადაქცის თავისუფლად, სწორად, ოდნავის რხე-  
ვით. სპატიორად რუსი ან ფინი სიარულის  
ღრან კორნუსს აჯღაუუნებს, მას გადაქცეს უც-  
ბად, მოშვებულად უოველ ფეხის გადადგმასთან  
ერთად. ქართველს ფეხი გაშლილი დააქცეს;  
ჩრდილოეთის ხალხი კა, ხნის უნებლიათ იმ  
ფეხს, რომელზედაც კორნუსს ახუტავენ, რომ  
მეორე გადადგას აი ამიტომ მათი სიარული  
უფრო დათვისი სიარულს, ე. ი. ძუნძულს წა-  
ცაგს. მე შევს სხსეში მღაბით ხალხი—ჩვენი  
გლეხ-კაცობა. მივიქცევით უურადლებს ჩვენი  
გლეხი კაცისთვის, როცა ის, შავალითად, ხელს  
გართმევთ, ტანს რა მოძრაობას აძლევს? ქარ-  
თველი წელს მხრებში კი არა ხრის, ე. ი. კი  
არ იკუნება, როგორც ჩრდილოეთის მცხოვრებელბ-  
მა იციან. წელ-გაშლილი სრულად ოდნავ მოუღ  
კორნუსს თველებენ იხრის, ფეხები გაშლილი, გა-  
ჭიმული უდგა და კისერა ბერძენადიკუიარულად  
ხერხემალთან უჭირავს. ქართველის მოძრაობა  
ბუნებრივად ეთეტკურ კანონებს ემორჩილება.  
ჯერწყამით ახოვან ქართველის მოძრაობა—  
წმინდა რთიმული მუსიკაა.

სულ სხვა თეატრში. ზირაქით ჩვენი მსა-  
ხობის მოძრაობა უცემაა. სიტყვა-გამოთქმუ-  
ლებას მოუფიქრებელ ზღვსტიკას უდებს. მო-  
ნოლოგი და ზღვსტიკა დისცარმონია მსახობის



თამაშობაში. აი სულ უბრალო მაგალითი: მთავარი, განსაკუთრებით ხალკაზღა მსახიობის, სკამი, სთხოვეთ დაბრძანდეს და აღგებულ თვალით. მისი სკამზე დაჯდომას უღამასო, უღამასო მოძრაობა იქნება. უმეტესად იგი სკამთან ნახევარ არხინის სიშორეზე განედება, შიბისის დალა წელს და მერე დაეშვება.

აღვთი ატრედე ინტონაცია. ვის არ უბოთარეს ის ერთუთვეთისებრი ხმაწოობილება, რომელსაც მსახიობი მხარობს. ჩვენს სტენაზე გაბატონებული ინტონაცია — უფრო ცრუ კლასიკურს ეკუთვნის. ოდნავ მომღერი, იგი ატრედეული აქეთ უსულო ტემპზე. მსახიობი უბრალოდ ხმას აიმაღლებს წინადადების სიტუაზე ამ გვარად, რომ მთელი დედა ზარი მხოლოდ მის ერთს სიტუაციასთან მიჰქვს. ცხოვრებაში-კი, სმაჯიერად, ქართული ინტონაცია მისთან ქართული სიტუა-მასუხის მშვენიერებისა.

ასეთია ჩვენი თეატრი. ხალკი კითხვა იმაში: შეიძლება არსებული ქართული თეატრი გარდაქმნას ნამდვილ ქართულ და მისთან მხატვრულ ერთეულ თეატრად? შეიძლება ვაფიქროთ, რომ ჩვენი თეატრი ოდესმე ჰმავებს ნამდვილ სახეს ქართულად აღამახისს? გადაჭრით შემოდთან ვსთქვა, რომ იმა ცდა ჩვენი თეატრის გარდაქმნა ამ მხრივ, რა მხოლოდ ჩვენი ერი ითხოვს; შეუძლებელია იმიტომ, რომ არსებული ქართული თეატრი ერთგვარ უფრო ნამოყალიბებულ ტიპისა ბუნებით; აცია: თვისებით თეატრი — გამართობი\*) (театр правления), დეიდიში Comedié française-კი, და რატორც მის მონათესავე ტიპს, მისც აქვს საკუთარი ერთგვარი გარეგული რატომი, რაც-სტილი მსახიობისა, თავისი სკოლა, სისტემა და ამ რავად უფულად სამართლიანი, დიდ-ხარისხიანი თავის სფეროში, ბუნებრივად წინადადებთა, უმუხაბა-მთა ხალკ ერთეულ დრამისა, ერთეულ მხატვრულ თეატრისა.

ქართული არსებული სტენა იშუა სწორედ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი განვითარება ის იყო იწვებდა. ერთად ერთს სულაერად ცოტად თუ ბევრად მთლიანს და მატრიალურად შეძლებულ კლასს ჩვენი ბრწინებულ თავად-ზინაურობა წარმოადგენდა. ქართულ დრამას მოკლებული, იგი ხარისხს თეატრს, რატორც ერთ-

გვარ გსართობ ადგილს, უქვემდებარებს მწერლობას და ფართულ ხასათს დედა-ბობად უდებს. ამ ნიადაგზე წარმოშობილი თეატრი კიდევც იზრდება, ვითარდება, მას დაუფრებელი ხელს უწყობენ თავიანთ ნაწერებებით მთელი რავი ნაწიერ მწერლებისა მაგ. გ. ერისთავი, ანტონოვი, ცაგარელი, ჟორჯიძისა, სურნულიანია, გუნია და სხვ. ქართული სტენა ამ ხარისხს აღწევს, რომ ბადალი მის მთელს რუსეთში ბევრი არ მთავდება. მისთანვე აღიზარდნენ მთელი რავი დიდ-ხარისხიანი მსახიობთა, შესისხლხორცებული ერთმანეთში ერთგვარ არტისტიულ თვისებით და ბუნებით. ამ გვარ ტიპის თეატრის წარმოშობა საქართველოში ისტორიულად ისევე განთხიერება, რავთრადანც სავრთოდ მთელ ევროპაში და ეს თეატრიც დღეს-დღეობით შეიძლება განვითარდეს, მაგრამ ხალკ ერთეულ თეატრად, ამ თეატრად, რომელიც უნდა შეიქმნეს მთელი ჩვენი ერის რელიგიოზურ ტაძრად. ამისათვის სულ სხვა ძალა საჭირო: აღსდგება ერი, აღსდგება თვით თეატრიც, სტეტაკი ვით ქართული სული. თუ რავთრ ფორმებში ან და რა ბრინცობით უნდა ნამოყალიბდეს მომავალი ქართული თეატრი, ამზე ვეცდებით შემდეგში ცდა-ბე წერილებით გავაგნო ჩვენი ზარი მკითხველს.

ალექსანდრე ახმეტელი

## ქართველი ხელოვანი

(დასასრული. იხ. „თ. და ც“ № 25)

წინა წერილში შევეხე საზოგადო ხასიოს მოსე თოიძის შემოქმედებისა. ახლა-კი გავკვრით შევეხები მის საუკეთესო სურათებს, სადაც ყველაზე ცოცხლად მეტყველობს მისი შრო, მისი უნარი.

„განთილია“... ამა ჩაუკვირდით რაოდენი სიძნელია იქ ძოცელი, და როგორ არის გადმოცემული სიცოცხლის გაღვიძების პირველი სფეროები: თრთოლვა. გუმინდლილის სიაგ-კარგე ლამის წყვალადში დიაკარვა, გაპკრა, და შუალამის უკანასკნელ ამოსუნთქვას თ ნ მოკყვა პირველი სუნთქვა ახალი

\*) სავსებით არ ვეთანხმებით. რად.





დღისა. შავი ფერფლი ღამისა გაუფრთხილდა და მის წაცვლად ლურჯი, კამკამა ლეჩაქი გადაჰფარებია ქალაქს. ხოლო ამ სილურჯესაც შეჰპარებია იის ფერი, მზის სხივებით წარმოშობილი, და შეუქნა კამკამა ელ-ფერი საღი განთიადღისა. მართლა ოსტატურად არის შესრულებული და ტენიკური სიძნელეც—ძლეული. მაგრამ იქნებ თქვენ მოგესურვებოდა მართლა დამ, ჯიტივით დარწმუნება მის ოსტატობაში? იქნებ „განთიადღის“ ბინდბუნდის, „მწუწნადღის“ შედარება მოგესურვებოდა, რადგან ძალიან ცოტაა მათ შორის განსხვავება და ამ განსხვავების ფერებით ვადმოცემა ხომ ძნელიც. მაშ „მწუწნადღის“ გადაღვლეთ თვალის, შეადარეთ. „მწუწნადღის“ ტონებში სიკამკამეს ვეღარ დინახავთ. იგი წართმეულია და იცნავს ბინდის მტკერია მოფრქვეული. იქ, „განთიადღის“ დღის პირველი შერეობა გადაცემული, დღის პირველი სუნთქვა, აქ კი, „მწუწნადღის“ ქანც-მიღებული დღის მთქნარება მოხაზული, სევდიანი ძილის მეტყველება. ხედავთ განსხვავებას? მაშ ხელოვანს გაუმარჯვინია, და იგიც მიტოვებს სიხარულის ღიმ ათამაშებული შესტკერის ნაყოფს გამარჯვებისას. ასეთივე ტენიკური ხერხის საჩვენებლად, ფერთა ოსტატურად ხმარების დასამტკიცებლად მოუტანია: „წინაღობა ტყეში“, „ხაჭაპურის აფხაზი“, „ძველი ბაზარი“, „ძველი ქალაქი საქართველოსი“, და სხ... აბა შეხედეთ, თუ არ განიცადოთ სინახე ჩენი მზის და მათთან ერთად მისი სიცხველვ, სიმწვავე, ჩრდილთა ჰაეროვანობა და პაპნაქება შუადღისა, სიცოცხლე ერთდროულად ზანტი და ინტენსიური.

მშენებერია სურათი „სასაფლაო“. აქაც ორი წინააღმდეგი მხარე დაპირდაპირებული. სასაფლაო დანგრეული საყდრით, დამცველებული, ბერ-ყენა ხეებით. საფლავს დასჩერებთან ჩენი გლები. აბა შეხედეთ რაოდენ ტანჯვაზე მეტყველებენ აწეული მხრები ორი დედაციხისა, გულის სიღრმეში რომ იცრემლებიან, მაგრამ გლერა-კაცია ყველაზე შენანიშნავი. აბა დაატკერდით სახეზე. ტანჯვა კი ისახება, მაგრამ შებორკილი, თითქოს

გონებას შუბორკავს ადამიანი, და არაძლევს ნებას რომ სახეს, აბეჭდვინოს უბედურების ხმაური. მართლა რომ სტოიკური რომ დაქერლობა გეცნაურება მის სახეში. „მედისწყერის“ მორჩილება და იქიდან გამოწვეული თავდაქერა—ეს სტოიკოსთა პრაქტიკული მორალი თითქოს ამ გლეხის პარავნებაში განხორციელებულა. იმე დაყრდნობა ჯიხს, რომ თითქოს ამ მოძრაობით სურს ვითხარა, „აჰ, სულ ერთიაო“, მაგრამ აბა იქით ვახედეთ მზს სხივების თამაშს აპყალია პატარა ბავშვი. სიხარული აღსახე და დისონანსად ეტრება ზემო სურათს. თუ ქვეყნად სიკვდილია—ეს არაფერი, სამაგიეროდ სიცოცხლეც ხომ მძლედ არის ამოძრავებული, და თუ ერთგან ცრემლის ღრვა გვეკრდება, სამაგიეროდ მეორე მხარეს მზის სხივები შეგვეშრალევენ ცრემლით სავსე სევდიან თვალებს.

მაგრამ იქნებ თქვენ ფანტაზია უფრო გაინტერესებთ, შემოქმედებ თი ლალი ნაფარდი? მაშინ თვალის აყურით აგერ იმ დიდ ტილოს, „გარდაქმნის ტანჯვა-ტკავაღება“ რომ დაურქმევია მხატვარს სახელად. აქ ორი მხარეა დახატული, ორი სამეფო. გუშინდელი ხედავდ უნდა შეიცვალოს, და ამ პოეტის მათელი მძლეობაც მხოლოდ შემოქმედებაა წოლია, და აქ იგერ განიცადის ტკივლებს და იტანჯება. აგერ დედა ნანგრევებ ა, მათ შორის კა კაცთა გვაგები მოყვლებული. აგერ ცოტა იქით მგონია ბედის ჰუნე უნდა იყვს მომაკვდავი. აქ რაღაც ღრმა დრამა დტრიალებულა და თითქოს ანის ნიშნად აღმართულა რომ სვეტი ომელისკაეური. ეს ხომ ეგვიპტელებს ჩეულებია იყო. მათ იტოლდენ ომელისკებს აღმართვად დიდი რამ შემარხვევის აღსანიშნავად. აქვე მუხლის თავებზეა დაკეშული ვინმე ქაოი, უღონო, ქანც-მიღებული, ალბად ყოფილი წყარო შემოქმედებისა, და ხელებს მტკრევთ მდგომარეობის დრამატიზმს გვარძნობნიებს. თითო შემოქმედი კი, ქედმოხრილი, მარკალული ზის, თითქო სურს ფორმა დაიკარგოს; დარგვალდს და ტკივილები აღარ შეეხოს, სირგვალემ აისხტოსო. ამ მობრალ ქედში იმისთანა ტანჯვა და ვნებათაღვლევა ისახება,



რომ ჩვენ კარგად ვიგებთ მხატვრის განზრახვას, იქ-კი, მალა ღრუბელთ არეული სისქე ცეცხლის ხაზი გაჭრილა, და გამომკრთალ მზის ხაზზე გამოცურებულა მოცეკვავე ქალის თეთრი რამ ლანდი ხალისიანი. ეს ახალი გზის სიმბოლოა, ახალი ქვეყნის მიმზიდველი სანახაობა. აქეთ-კი, ღრუბელთა ტრამე მოქმედებაში აღმართულა დიდი ტაძრის მკრაალბი სხაი, ჯერ გამოურკვევლობის ღეჩქა-გ დაფარებული. ეს მომავლის ტაძარია, ჯერ არ ნახული. მაგრამ მალე მზის სხივა დასწვავს ამ ლერქს, ხელოვანი იხილავს ახალ მხარეს და იგემებს შემოქმედებითი სიხარულს. ეს სურათი მისი ფენტაზიის მწვერვალია. ნაკლებ ძლიერია ეს ფანტაზია „მესაიდუმლოება“ მაგრამ მარც სურათი მთლიანია, ღრმა. ხოლო რაც შეეხება „მეზანს“, ის და იყო საჭირო ლალი ნავარდი, ფანტაზიის აღვირ შეებულობა, და სწორედ აქ მოუჭირა ლაგამი ჩვენმა ხელოვანმა, ფანტაზიის სიძლიერე ამ მერანში არა სჩანს, აქ უფრო სინამდვილეა ტილოზე გადმოდებული. სად არის ტიტანი? ან ფრენა უგზო-უკვლოდ? მოსე თოიძის „მერანს“ ჩვეულებრივი იორლა ცხენია, ჩვეულებრივი მხედრით. მას მალე მოეკიდება დაღლა და მუხლიც მოეკვეთება. კლდე-ღრეს ფრენით იგი ვერ გადივლის. აგერ ჯერ შარა გაზაზევე დალილია და ფრუტუნებს. ფონი სურათის რაღაც ყოპრადი—საუცხოვრა. ვისაც უნახავს ა. მრველიშვილის „მერანი“ დამეთანხმება, რომ ი „მერანი“ ბევრად უფრო მეფერება ბარათშვილის „მერანს“, ვიდრე თოიძის ნახატი. მაგრამ თქვენ გინახავთ მოსე თოიძის ტრუბები? საუცხოვონი არიან „ხეკსურა“ და „ფრგაღა“. ამა შეხედეთ იმის ცერს, ჩიბუის რომ თამბაქოს უმარჯვებს და სტკენის. ხეცსური ისე ცოცხლად ატკაპუნებს ტუნებს, რომ თავის რკინის კაცობას გაგრძნობინებთ. ფეკრობს ხეცსური—ვინ იცის რაზე? ვანა ცოტა აქვს აღამიანს საფეკრებელი? ყურადღებას იქცევს „გიორგი XII“! კოლორიტი საუცხოვრა და ახიურ სინამდვილის ბეჭედს ასვამს. საელოდ კი სურათი დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

სურათა სითითოდ ჩამოთვლას დაევნებოთ

თავი. დაეკმაყოფილდეთ საერთო თვალის გადავლებით, საერაო ხასიათით. აქ-კი საყურადღებო ის არის, რომ ჩვენს ხელოვანს მოუსურვებია ეროვნულ ნიადაგზე დღეობა და ასე მთელ კაცობრიობასთან კავშირის დაქერა. სწორე გზა ამოურჩევია. იგი თავს ევლება საქართველოს ყოველ კუთხეს, ჰხატვს მის მრავალფეროვან სახეს და სწავლობს ფერა საიდუმლოებას. საქართველოს უხვი ბუნება დიდად აოსატატება ხელოვანს. და იგიც ჰხატავს დედა საქართველოს წილიდან ამოკრებილ სიუჟეტებს. გვიდგენს თვალ-წინ ბუნების სხვადასხვაობას, გვიშლის ჩვენი ისტორიის ფურცლებს, გვაფიქრებს, გვატკბობს, გავცნათებს პერსპექტივს და ერთდროულად ორმაგ საქმეს ემსახურება. ერთია ხელოვნება და მეორე—ეროვნება. ორივე ერთად შეადგულა მოსე თოიძემ, და მიტომ ეროვნულ ხელოვანის სახელს ვეღარავინ წაართმევს. ბევრი მისი სურათი ქართულ მუზეუმში მოსტენვის ბინას და იქ დარჩება მეტყველ ხატად. გადავივლიან მხატვრულ სამეფოს. და ასე მხატვრულად ჩვენს ეროვნულ ვითარებასაც გვეტყვიან ფერაღთა ენით. მ. თოიძის შემოქმედებაც სხვებთან ერთად მტკიცე ქვად დაედება იმ საძირკველს რომელზედაც უნდა აშენდეს ლამაზი ტაძარი ქართული ხელოვნებისა. რა ვიცი იქნებ ახლო იყოს ის დრო, როგორც მომავლის ტაძარი მისვე სურათში: „გარდაქმნის ტანჯვა-ტკივილები“. იქნებ ჩვენი ხელოვნების მუზა-ღმერთი უკვე მოცეკვავს მზის სხივებზე, როგორც იმავე მოსე თოიძის სურათშია ნაჩვენები. იქნებ ჩვენი ერიც იმავე „გარდაქმნის ტანჯვა-ტკივილებს“ განიცდის დღეს, რასაც ახალი ცხოვრება დაავიკრვინებს? მე ასე მგონია, ნიწნები უკვე არის თეთი თო-ძეც, თავის მოზარდ ნიქით და ხელოვნებით ამ იმედს აძლიერებს და თავის მხრივაც უხვად გვაწვდის ვარდის ფერებს მომავლის დასახატად... და მიტოვაც უსურვებს ჩვენს ხელოვანს უკეთეს მერმის და სრულ გამოარჯვებას.

ვახ. კოტეტიშვილი







# ქართული სახეობა

**სახალხო სახლში** ბაბათს, 27 ივნისს სცენის მოყვარებმა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ის წარმოდგენით მართლა და რაც გინახავს—ვეღარ გვაჩვენეს. ვ. გამყრელიძის (გიგუა), ვ. ნინიძის (იმერული მსახური), გ. ანაშვილის (ავერტიკა), ვ. რატიშვილის (მოუარო) და ი. მინდაშვილის (მებატონე) გარდა თითქმის ყველანი კარიკატურებს მოგაგონებდნენ. წა-მოდგენის დიდძალი საზოგადოება დაესწრა,—სრულაქცია ბილეთებიც კი გაყვირდათ.

**წ. გომელაურმა** და **ბ. შანინაშვილმა** სახალხო სახლში კვირას, 28 ივნისს, მრავალდერადი საღ-მო გამა თეს: წარმოდგენილი იყო სერიოზული დრამა, ვოდველი, სიმღერები, ახალი შარბი-პიესა და სხ. „სისხლის ლაქა“-ში ც. ამირჯანიძის ტრაგული სულის სიმები ხელოვნურად ამბეტყველა. შესაფერი იყო ალ. შანინაშვილიც, მაგრამ სხანს გრიბის გაკეთება გეგერ კიდევ ვერ შეუსწავლია, რაიც აუშინებდა. აღდევანოვმა ექიმის სრული ნატიბა შექმნა. „რაც აქეთ არც იქით“-ში ვასო აბაშიძემ კიდევ ერთხელ გვიჩვენა თვისი ჯადოსნობა: ჩვენი სცენის ამ შეყვნებას თითქმის სცენულ გამოცვლა უკვდავების ნეტრბრად მოგაგონებდა ხოლმე. თქმა ან უნდა, იმედდაშვილი მშვენიერი ვარჯიხნაყ იქნებოდა; აღსანიშნავია აგრეთვე მებეტქმის ბიჭის როლის აღმასრულებელი და რ. ჯიბლაძის მიერ ნიჭიერად გაპროცენტირებული იერული. ბიჭი, ჩვენი სცენის მომღერალი ი. სარაჯიშვილი რომ თავის ზნეს მოიშლიდეს—ქართულ თეატრში, ქართველი ხალხის წინაშე უცხო რომანსებლის მღერას, მაშინ, როდესაც მშობლიური რეპერტუარიც მღერადი აქვს, გაიცლებით უჯობს: ქართული საზოგადოების მშობლიური ჰანგების მოსმენ უფრო სწყურიათ და მუ აუტყმებრებთ... ვ. გუნიას შარბი-პიესამ (ფრანც-იოსებო—გ. აბაშიძე, ალ. იმედდაშვილი—გილჭელში და ს. რომანიშვილი—მაჰმედი), სიმღერა-ცკეთ, სინათლის ცვალებადობით წარმოდგენილმა, ბვერი აკინა დამსწრენი, ბოლოს რ.ჯიბლაძემ მოხდენით წარმოსთქვა თვისი შინაარსიანი და დროს შესაფერი სცენები. დიდძალი საზოგადოება დაესწრა.

### შსპანო

**მსახიობი ი. შიშიძის** გამოვლით სახალხო სახლში ისტორიულმა „და ძმან“, არა ისტორიული სტილით წარმოდგენილმა, უგებურად ჩაიარა. ბნ იოვიძეს ალღო აუღია, რომ ისტორიული პიესები ხალხს უფროს და განსაკუთრებით ისტორიული რეპერტუარიოთ უმასპინძლებდა საზოგადოებას—ხალხს, ეს ძლიერი კრიტიკა, მაგრამ ის კი არ ვარჯა, რომ თითქმის ყოველად მთაუშავდებოდა და უგერგილოდ სდგავს პიესებს. მსგავსი წარმოდგენებით ნების მოტრანა უფროა შეიძლება, ვიდრე სკეთის. ეს მით უმეტეს ხაზიშობა, რომ ასეთ წარმოდგენებს უმეტესად მდებარე ნაშრომ. მოწაფენი ესწრებოან და დასწრაც ცნობილი მსახიობანი

მონაწილეობენ. მეტი პატივი ჩვენს ისტორიას, ისტორიულ პიესებსა და ხალხს. ამავე მსახიობის თაოსნობით სამშაბათს, 30 ივნისს, წარმოდგინეს „თამარ ბატონიშვილი“. ვალ. გუნიას (ელიზბარ ერისთავი) და ალ. იმედდაშვილის (შალვა) გარდა თითქმის ყველანი მოიხუსტებდნენ. ხალხი ამ წარმოდგენასაც ბვერი დაესწრა. უკეთესი შობებულებებ და სტრუა მეთებე მოქმდებენ (საპატირობა), განსაკუთრებით ვ. გუნიას და ალ. იმედდაშვილის მოწაფეობით. **წინამძღვარი**

**სალ. შორაპანში** 13 ივნისს, ადგილობრივი თეატრში ვ. არაბიძის რეჟისორობით და ბ. შესტანოვიჩის თაოსნობით ახლად შემდგარმა სცენის მოყვარეთა ჯგუფმა რუსულ-ქართული წარმოდგენა გამართა. რუსულად წარმოადგინეს „Жертва Эгоизма“—ი. კ. ლისენკო-ვიშნიჩის; ქართულად „დედის ერთა“,—ვ. გუნიასი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მონაწილეობდნენ: ვ. არაბიძე, პ. ვლადიმიროვი, ა. წულუკიძე, ა. კახეთელიძე, თ. არემიძე ცაგურია, ხილავა, და სხ თავისი თამაშით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა განსაკუთრებით თლ. ვალ. არემიძის ასულმა (რუსულში) და ლიუბა ალ. ვაჟაიძის ასულმა (ქართულში ითამაშის დედის როლში). ხალხი ბლომად დაესწრა და დიდად ნასიამოვნებები დაიშალა. წარმოდგენის მეთაური დიდი მაღლობის ღირსნი არიან. იმედია კვლავ არ დაივიწყებენ ისედაც ყოველგვარ განსართობს ჩამომოგობულ ხალხს და აგებენ მაღლიან წყაროს ცხოვრებისას. საჭიროა წარმოდგენებზე შესასვლელი ფასი იაფი იყოს, რომ მდებარე ხალხსაც შესაძლოს დასწრება და შორი-ახლოდანარ შეტყობდეს მათ, ვინც წარმოდგენით სტყებდა.

### ა ბი

**დ. ხაშურში** ი. ზარდალიშვილი შარშანდელივით ჩვეულებრივის ენერგიით შეუდგა ხაშურში დამისახლო აღდბარე დაბეშში წარმოდგენების მარ ვის საქმეს, ხაშურის ქართულ დრამ. წრის გამგე ბას გადაწვეკრული აქვს, ამ ზაფხულს ყველა თვალსაჩინო დაბა-სიფელში (გორის მაზრაში) ქართული იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები ჰპართოს. ამ მიზნის შესაფერი რეპერტუარი უკვე შეიმუშავა. წარმოდგენები გაიმართება: დ. ბორჯომს, სურამს, სოფ. გომს, ქარქლს და ავღვეში.

დ. ხაშურის სახაშორო თ ატრში 13 ივნისს ითამაშეს ნ. შიუკაშვილის 4 მოქ. დრამა „სიმინჯი“. ს ბას როლი ბ. ზარდალიშვილმა ჩინებულად ჩაატარა. სონას როლს ასრულებდა ქ. შოთაძე, რომელმაც დაკვირვებით განასახიერა თანამედროვე, გონიერი გაციებულ, ფიზიკურად დადავებულ ქაოთველი ქალის ტიპი. დარჯიხანის როლში შეუდარებელი იყო ქ. ელენე ტიმაქურიძის ასული, რომელიც პირველ და გამორის ხაშურის სცენაზე და როგორც ნიჭიერი სცენის მუშაკმა საუკეთესო შობებულებება დასტოვა მაყურებლებზე. ადგილობრივი სცენის მოყვარენი: ქეთო კალა-



დე, თ. აფხაზიშვილი, ვ. ხოზბერაშვილი, გ. ვეზირიშვილი, დ. ძნელაძე, მ. კვალაიაშვილი, კალანდარიშვილი, ძიძიგური და ვ. სულიაშვილი—ნაიკის როლებს სინდისიერად ასრულებდნენ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწროა. ხაშურის სახათროო სკენა დროებით იხურება და წრეს მოქმედება საზაფხულო თეატრში გადააქვს, სადაც მშენებრივ და ფართო სკენა მოწყობილია.

**ნიკო გუგუშვილი**

**ოჯუგაბეთის თეატრის** აგებ-ს. წლისთავის შესრულების გამო ადგ. ლობანიძემა სკენის მოყვარეებს დადგინა „ციმბირელი“ და „მოფუჩხულია“. უნდა აღენიშნოთ საერთოდ, რომ ოხურგეთში ამ ბოლო ხანებში წარმოდგენები ჩვეულებრივად აღარ იმართება. თუქა ელექტრო-თეატრში სინემატოგრაფიულ სურათებს ყოველთვის აჩვენებენ, მაგრამ ეს კიდევ ვერ აქმაყოფილებს ოხურგეთის ს.ოჯაღოებს დაამისათვის წარმოდგენას ჩვეულებრივ მემტი ხალხი დაესწრო წამოდგენამაც თუ მხედ ელომაში მივიღებთ სკენის მოყვარეებს, მწყობრად ჩაირა. კარად გ. ნასახიერეს თავიანთი როლები ქან დ. ლომინაძის ასულმა, ბ. ბ. გ. მულაძემ (მახუთიანი), გ. გოგიტიძემ (ციმბირელი), ივ. დემურაძმა, ნ. დლიძემ, კ. აბაშიძემ. წარმოდგენას საერთოდ მსმენლებზე აფარიათ შთაბეჭდილება დასტოვა. ნ. დლიძემ რომ ზედმეტ მანქობაზე, უადილოდ კიბების შეკრუფაზე ხელს აიღებდეს—სჯობა. მა. ლობის ღირსია ბ. გოგიტიძე, რომელმაც საუკეთესო თეატრი აგავა და ყოვე მხრივ ხელს უწყობს სასცენო ხელოვნებას.

**3. ბ. ლი.**

**წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი**

▶ **პარტული წარმოდგენების პარტია** სახალხო სახლში 30 ივნისს დასრულდა „თამარ ბატონიშვილის“ წარმოდგენით.

▶ **ბაქოს დრამ. წარს. თეატრის** თეატრიშვილიმა ბაკუციხიდან წაღვერს გამოიწვია რეჟისორი შალვა დადიანი, რომელსაც მოელაპარაკა ბაქოს მომავალი სეზონის (დასის, რეჟისორის და სხ.) შესახებ.

▶ **„ძრინძინეს“** პარანაე გაცდასლებად კინემატოგრაფის ერთმა ცნობილმა ფირმამ მიმართა ბლ. წუწუნავასა და ალ ახმეტელს, რომელთაც ეს საქმე ითვრეს. ხსენებულ პირთ განუზრახავთ ქრისტინეს სურათები ალაგობრივ გადიღონ (გურჩიასა და თბილისში—ორთაქალაქში).

▶ **პარტვილ ძალთა საჩაიბი—ქმრ. ნუ. ბაჟოში** დადგეს როიალი. განუზრახავთ მოიწვიონ ხოლმე ცნობილი მოღვრალნი სტუმრების გასართობად. 25 ივნისს აქ პირველად იმღერა ან ღაზბა მომღვრალმა დავ. ლევანამ. სანიჲ ხალხით გაჰყვირო იყო.

▶ **მგალოხალ-მომვალათა ლობბარის**

**ი. გომიპვილის** ორმოცის წირვა-პანაშვილი დანიშნულია სადღესობად წმ. მარინეს კვლასში

▶ **ილიზ სურათი** სახალხო სახლში დღემდე არა ყოფილა გამოქველი, როგორც ისმის, ფიქრობენ მფილაღმოდინ ჩამოკიდონ.

▶ **მსხიროზი ვ. გომალაური** თელავს მიიწვიეს ორ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად.

▶ **მოქანდაკე ი ნიკოლაე** ამაზღებს ბრინჯაოს დანებს, ტარზე გამოქანდაკებული აკაკის სახით, წიგნების საჭრეოლად. მასვე განუზრახავს გამოქანდაკოს თამაშირის აკაკის პატარა ადამიანი ხალხში გასავრცელებლად.

▶ **გომონი ვ. შავალიშვილი** სწერა პოემას „დაწყველილი სახელი“.

▶ **გომონ ვაჟაშავაშელას** თანდათან უკეთესობა ეტყობა, ფერდის ერთი მხარე თანდათან უშრება. მაგრამ ავადმყოფი ჯერ კიდევ უნდა იწვეს.

▶ **მსხიროზი ვ. ალულიშვილი** მოსკოვს მიღის მოსკოვის სახმატრო თეატრის კურსებზე სასახიობო კონდის განსავითარებლად.

▶ **გ. ფონცოშელის (თავ. გ. მ. ხარხაულიძის)** ნაწერების გამოცემა განუზრახავს მისს ქვერეს.

▶ **გომონელის ბაბლია**, უკანასკნელი პიესა გმირულად დაღუპულ გ. ფონცოშელისა (გ. მ. ხერხეულიძის), ჩეგობართა შორის დაიკარგა. შვერლის ქვერივი, ან. ქ. დ. ხერხეულიძისა თხოულობს, თუ ეს პიესა ვისმეს მოეპოება, „თეატრი და ცხოვრება“ რედაქციას წარმოუდგინოს კრებულში დასაბეჭდათ.

▶ **ქორეპიანის მხანახა** ლექციებს კითხულობს სახალხო სახლში ცნობილი ლექტორი ტოტომიანი, საღამოებით 7—10 ს.

▶ **მარტოშვი** გ სულ კვირას წარმოადგინეს „პატარა კახ“ პიესას სუსტად ჩაირა.

▶ **პირველი საბავრო საღამო „ახალ კლავში“** გაიმართა კვირას, 28 ივნისს. საღამო შინარსიანი იყო და ბევრეტიც კმაყოფილი დანიშლნენ სამწუხაროდ ბმ. მამასხლისებზე შესასვლელი ფასი აეწვინათ, რამაც ბევრ ბავშვს შეუშალა ხელი საღამოს დასწრებადა. კარგი იქნება შედგეწმ მინც ანგარიში გაუწიონ ხელმოკლე ბავშვთა მოთხოვნილება.

▶ **პარტი. საეთნოგრაფიო და სანისტორიო** სახ-ის კრებაზე, დეკტ. სატრ-ში, 28 ივნისს პრივატ-ლაქტრმა ი. ყოფშიძემ ფრიად საყურადღებო მოხსენება წაითხა „მეგრეთა ზნე-ჩვეულებათა და ცრუმორწმუნებათა“ შესახებ. კრებაზე სურვილი გამოითქვა, შეიკრიბოს საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ზნე-ჩვეულებანი

▶ **პარტიკულის პიესა „იპვიანობა“** დ. ნ. მოქ., ქართულად სთარგმნა ს. ხანდველმა.

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.







ახალი გაგონება

ვეფხისტყაოსნის საწირო და სასარგებლო წიგნი

# უხსო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწავლულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე პევირად გაიღებოდა) წიგნი ახსნა-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შეწყვლილი. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნილი ღირს **ორი (2) მანათი** (ფულის გადახდა შეუძლებელია) შეიძლება; ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენი—წიგნის გამოსვლის ეამს.

ხელის მოწერა მიიღება: **ეურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში** „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“-ის. **Имедашвили.**

**წელიწადი**  
**მისამე**

**მიიღება ხელმოწერა 1915 წ.**  
უოველკვირეულ სათეატრო,სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ეურნალ

**წლიურად 5 მ.**  
**ნახევარი წლით 3 მან.**

## „თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით

„თეატრი და ცხოვრება“ უოველგვარ ჯგუფრ-დასურ მიმართულების გარეშეა ეურნალი. უმთავრეს ეურადღებებს მიიქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, საშხატურო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. უოველ ნომერში დაიბეჭდება სარტერტუარო პიესა.

**ფ ა ს ი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1თვ.40 თითო ნომერი 10 კაბ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება; ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენენისთვის 1.

**ელმოწერა მიიღება:** რედაქციაში (სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ეურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნასა წიგნთსაეკროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან, ქუთაისში თ. მთავრაშვილას წიგნთ სავაჭროთა ს. ეპიტაშვილთან

მიიღება განცხადებანი ეურნალში დახაბეჭდათ. განცხადების ფასი: 1 ევ. ორიგებით, 2, ევ. კორპუსის პუკარი ერთ სვეტზე 25 კ. მ-ზე—20 კ., მ-ზე—15 კ. ფული და უოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. **ფოსტის მისამართი:** Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **იოსიფუ Имедашвили**

რედაქტორ-გამომევექმედი **ანნა იმედაშვილისა**

თევზის მრეწველნი

კმ.



კეპელოვები

კუშინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9.

ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ძველი  
საკუთარ სახლში

იყილება

იმავე ხარისხის

საქონელი

არგონტი კუშინის ძეგაზი



ნომრები „აპროკრა“

ახლად შეკეთებულს, საუცხოოდ მოწყობილს, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სამზერეულო, ცხელი და ცივი წყლით სიბანოებით (დუში და განა).  
თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)



### მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. მანქანისთვის ბაზოვ სალიტერატურო, სამეცნიერო და სა-  
პოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

## „ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა ჟურნალში უმასლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი ჟურნალში დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი მონორარი.

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25—ლ, ზომით 15—20 ფორმატდ რედაქციის ბინა: თბილისი, ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тиф-ლისь, ред. груз. жур. „Ахали Моамба“.

ფასი: წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკენისთვის—დან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тиф-ლისь, редакция груз. жур. „Ахали Моамба“ Ивану Спир. Эпашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ევ.ოი ბ ვანნს უილიანი